მუშის განთავისუფლება
თვით მუშის საქმეა.

ცალკე № 3 კ.

ძალა, რომელიც ანგრევს ავტორიტეტს.
ამავე დროს ამყარებს თავისუფლებას.

# მუშა

| 1 წ. | 6 თ. | 3 თ. | 1 თ. | |
|---|---|---|---|---|
| მ. | მ. კ. | მ. კ. | მ. კ. | |
| 5 | 2 50 | 1 25 | — 50 | თფილისში. |
| 6 | 3 — | 1 50 | — 60 | თბილ. გარ. |
| 10 | 5 — | 3 — | 1 — | საზღ. გარ. |

რედაქცია ღიაა (უქმეებს გარდა) დილის 10—ს. 2 ს.; საღამოს 5 ს. 7 საათ. ა დ რ ე ს ი: თავ.-აზნაურობის სახლი, სასახლის ქუჩ., № 117.

სევასტოპოლში შეიარაღებულნი ხანჯლებით შეიჭრნენ სამხედრო-საზღვაო კანცელარიაში გაიტაცეს საქმეები ნოემბრის არეულობის შესახებ და მიიმალნენ.

№ 40

ოთხშაბათი, 26 ივლისი, 1906 წ. თბილისი

№ 40

ვთხოვთ თვიურ ხელის მომწერლებს (თბილისში და თბილისს გარეთ) შემოიტანონ ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევაჩეროთ გაზეთის გზავნა.

---

„გლეხის“ რედაქცია

გადავიდა სოლოლაკში განოვის ქუჩაზე სახლი გურგენოვისა № 8 ქალაქის საბჭოს მახლობლად.

---

ვუმეორებთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში, რომ დაუყონებლივ გამოგვიგზავნონ ანგარიში წინანდელი ნომრებისა და დროზე მოგვაშველონ მისი ხვედრი ფული, წინააღმდეგ შემთხვევაში იძულებული ვიქნებით შევწყვიტოთ თქვენთან გაზეთის გზავნა.

---

## „დუმამ“ რევოლიუციონური როლი ითამაშა?!

(გაგრძელება *)

მაგრამ, როგორც წინად ვამბობდით, ჩვენი იმედი ის არის, რომ რევოლიუცია ტავრიდის სასახლეში არ არის, მოქმედება სხვა მხრიდან უნდა მოვიდეს,—ხალხიდან. გლეხებს თუმცა დიდი იმედი ჰქონდათ „დუმისა,“ თუმცა რეაქციამ და ამ იმედმაც იგინი ერთხანს დააძინა, მაგრამ „დუმის“ პანღურამდე დაიწყეს მათ მოქმედება. მთელი რუსეთი ცეცხლის ალშია წარგრაგნილი, იწვის მემამულეთა ეკონომიები და ნადგურდებიან მამულები. საქართველო! უკვე პირველად განვლო ეს ფაზა რევოლიუციისა, რუსეთში უფრო გვიან დაიწყო. ეხლა კი, როცა გლეხებს ეს იმედიც დაეკარგათ,—„დუმის“ იმედი,—„დუმიდამ“ მოსული იმედი მიწისა და თავისუფლებისა,—მათ ერთად ერთი იმედი და დარჩენიათ,—იმედი თავიანთი ძალ-ღონისა, იმედი თავიანთი თავისა, თავის საკუთარი ინიციატივისა,—და ეს არის ნამდვილი წყარო რევოლიუციისა, ნამდვილი მამოძრავებელი ძალა აღელვებულ ხალხისა. რა იქნებოდა, რომ დუმას არ მიექცია პირველად მათი ყურადღება, რომ პარტიებსაც მასზედ არ დაეხარჯათ ამდენი დრო, ენერგია და მოქმედება, რომ მთავრობისთვის არ დაეცლიათ „დუმის მიერ“ ცოტათი დაწყნარებული დროით სარგებლობა და ისე გამართვა თავისი საზიზღარი მექანიზმისა? რა იქნებოდა რომ „დუმის“ დათმობა მხოლოდ დათმობად მიეღო ყველას და შესდგომოდენ უფრო მეტის ენერგიით რევოლიუციის განგრძობას?—მეტი მომზადება და წინ წაწევა რევოლიუციისა, მეტი იმედი ჯარისა, მეტი იარაღი მებრძოლ რევოლიუციონერთათვის, რომ ეხლა, კარზედ მომდგარ მომენტს უფრო გამზადებული, უფრო გმირულად შევხვედროდით,—აი რა იქნებოდა. მაშინ რევოლიუციის გრიალი მთელ რუსეთში, მისი საყოველთაო წარღვნა უფრო საშინელი და განმანადგურებელი იქნებოდა და შეიძლება მთავრობა, რომელიც ვერ მოასწრობდა მაგრად დახვედრას, სამუდამოდ მიეცემოდა, დამარცხების მწარე გოდებას. ეხლა კი!—ეხლა ვინ იცის რა მოგველის. ბრძოლა აუცილებელია, მაგრამ მისი შედეგი კი ძლიერ არა-მანუგეშებელია რევოლიუციისათვის. ჩემი პირადი ფიქრით კი ეს მეორე აქტი რუსეთის რევოლიუციისა საშინელი დამარცხებით უნდა გათავდეს, აგრეთვე პირველ რეაქციას, მეორე უფრო საშინელი და გულის შემზარავი რეაქცია უნდა მოჰყვეს. აუცილებელი იყო რევოლიუციის მეორე აქტის დაწყება, ისე, როგორც აუცილებელი იყო მისი პირველი აქტი. როგორც აქ არ ვიცოდით პირველი აქტის დაწყება, მოუმზადებლად შევხვდით მას და დავმარცხდით დიდი ბრძოლის შემდეგ, ისე მეორე აქტის დასაწყისიც ვერ ვიანგარიშეთ, ვერ მოვემზადეთ მისთვის. პირიქით, ანტრაქტის დროს „დუმის“ კომედია ითამაშა მთავრობამ უმთავრესი მომქმედი პირის,—ხალხის დასაძინებლად, და მოემზადა რა თვითონ, უცბად ახადა ფარდა და ჩვენდა სავალალოდ მეორე აქტისათვისაც, მოუმზადებელნი გამოვდექით; ჩვენ **უიარაღონი ვართ, როდესაც მთავრობა ბრძოლაში გვიწვევს, ზარბაზნებით და პულემიოტებით შეიარაღებული!** და ვინ იცის, კიდევ რის ჩადენა შეეძლო მთავრობას ამ ანტრაქტის დროს. განვიმეორებთ კიდევ და ყოველთვის, რომ რუსეთის დიდი რევოლიუცია მარტო რუსეთის სახელმწიფოს ტერრიტორიით არ შემოიფარგლება. მას დიდი ასპარეზი ექნება. მას ინტერნაციონალური მნიშვნელობა ექნება და ინტერნაციონალურ ხასიათს მიიღებს იგი, რადგანაც მე-XX საუკუნეში ხალხთა ბედ იღბალი, ხალხთა მოქმედებანი ძლიერ რთულად და მჭიდროდ არიან გადაბმულნი და შეკავშირებულნი, მიუხედავად ხელოვნურ საზღვართა. ამიტომ, დავიჯეროთ რომ რუსეთის რეაქციის ორგანიზაციაში და მომზადებაში ევროპის ბურჟუაზიას არ მიუღია მონაწილეობა? ძნელი დასაჯერებელია ეს, მაგრამ ჯერ ჯერობით დანამდვილებით არაფერი შეგვიძლია ვსთქვათ, რადგანაც საყოველთაო ევროპის პოლიტიკის ჰორიზონტზედ ამის უტყუარი ნაშთები არა სჩანს. დანამდვილებით მხოლოდ ის შეგვიძლია ვსთქვათ ჯერ-ჯერობით, რომ წითელი აჩრდილი სოციალური რევოლიუციისა ისევ აღმოჩნდა და აღიმართა ევროპის ბურჟუაზიისა და სახელმწიფოთა წინაშე, და ეს საშინელი აჩრდილი ეხლა რუსეთში აღიმართა,—მისი დასავლეთისაკენ მსვლელობაც ადვილი წარმოსადგენია.

ამიტომაც იყო, რომ ევროპაც დიდის გაფაციცებით ადევნებდა თვალ-ყურს „დუმას“, სარგებლობდა მისი მშვიდობიანი როლითა და შეიძლება რუსეთს ხელს უწყობდა რეაქციის მოწყობაში, რომ ამითი საერთაშორისო რეაქცია მოეწყო და რუსეთი კვლავ დაეყენებინა ამ საყოველთაო რეაქციის მოთავედ.

ამ მხრივაც დუმამ რევოლიუციონური კი არა, რეაქციონური, დამაძინებელი როლი ითამაშა.

* *
*

მაშ რა ვქნათ? რა ვქნათ, როდესაც მთავრობამ გვაჯობა, როდესაც რეაქციამ აქაც მოიგო დრო, და შეიძლება ბრძოლაც მოიგოს, თუ ბრძოლაში გავყევით?—პასუხი ჩვენი ერთია, ეხლაც იგივეა, როგორც ყოველთვის: ჩვენ ვიცით რომ ეხლა მთავრობა მომზადებულია და მას ჯარი საკმაოდა ჰყავს და საიმედოც, რომ დაგვამარცხოს. ვეცადოთ, ძალას საკმარისი ძალა დაუყენოთ წინ. ნუ მაინც ნულარაფერი დაგვაძინებს, ნულარ გაგვიტაცებს „დეპუტაცია“ და საარჩევნო „კენჭობია“, რომლის მომზადებასაც შეიძლება აქედანვე შეუდგენ ჩვენი ბრძენნი, პოლიტიკით აღსავსე პარტიები და 20 თებერვლამდის 1907 წ. „კარგი ნიადაგი“ მოიმზადონ. ვეცადოთ,—რაც შეიძლება მეტი ფიზიკური ენერგია შევაგროვოთ ჩვენ ხელში, მეტი მეომარი, მეტი მხნე, შეიარაღებული მებრძოლი რევოლიუციონერი, მეტი მჭიდრო ორგანიზაციები ბრძოლისა, მთელი არმია ჩვენი მხრითაც,—აგრეთვე დაუძინებელი პროპაგანდა ჯარში და მათი ნამდვილი რევოლიუციონური გაწრთვნა,—ყოველგვარი რევოლიუციონურ ტრაბახობის უარ-ყოფა და მუდმივი „პირდაპირი მოქმედება“—და ყოველივე ეს ვიქონიოთ შემდეგი რევოლიუციონური მომენტისათვის,—გამარჯვება და მომავალიც ჩვენია.

მეტყვიან:—განა ჩვენ ხელთ არის რევოლიუცია, განა ხალხი მომზადებას დაგვიცდის, რომ მერე ვიბრძოლოთ. მაგრამ ჩვენი პასუხი ამაზედაც იგივეა,—ხალხმა თუ მიიღო ბრძოლა—მაშ ეხლავე ვიხმაროთ შესაძლებელი ნაწილი იმ საშუალებათა, რომელნიც ეხლა ჩამოვთვალეთ, რომ ჩვენი დამარცხებაც ჩვენი მტრის მხოლოდ პირველ გამარჯვებას ნიშნავდეს.

ფრთხილად! ჩვენ დამარცხება მოგველის ამდენი ხნის ძილის შემდეგ; მთავრობამ „დუმით“ მოგვატყუა, მითი აგვიხვია თვალი, ეხლა უცბად ახადა ფარდა და თავისი განზრახვა ურცხვოდ დაგვანახვა; ეხლა მან მოუმზადებლობის მახეში ჩაგვიჭირა, თვითონ ჩვენ ძილში მომზადებულმა, და გამოღვიძებულს უკვე ხელ-

*) იხილე მუშა ნომერი 39.

ახლა აბობოქრებულ ხალხს მეორე საშინელი გაკვეთილი მოელის დამარცხებისა!

ფრთხილად, ხალხო! ეცადე რომ, თუ მაინც და მაინც არ შეგიძლია ბრძოლა მოიგო, დამარცხებით მაინც დიადი იყო!

ფრთხილად, პარტიებო! ამ დამარცხების პასუხის მგებელნი ძლიერ ბევრი მხრით ჩვენც ვიქმნებით! მაშ გამოვიყენოთ მაქსიმუმი ჩვენი რევოლიუციონური ენერგიისა, თუ ბრძოლა აუცილებელია!

ფრთხილად დუმავ! შენ შენდა შეუგნებლად რეაქციონური, დამაძინებელი როლი ითამაშე, და პირდაპირ საბრძოლველად ხალხის გამოწვევის უფლება არც კი გაქვს, რადგანაც შენი აღთქმაც ვერ აღასრულე,—ხიშტის ძალებით გამოვალთ მხოლოდ დარბაზიდანო, — ხალხს კი უნებლიედ დამარცხება მოუმზადე!

მაგრამ, საუბედუროდ, ბრძოლა მაინც აუცილებელია, რაც გინდა უნდა გავფრთხილდეთ; ეს სიფრთხილე გვიანია, რევოლიუციის მეორე აქტი დაიწყო, და ჩვენც ძალა-უნებურად უნდა ჩავებათ ამ საშინელ ისტორიის ტრაგედიაში, თუმც ათასჯერაც ვიცოდეთ რომ დამარცხება მოგველის.

მაგრამ რევოლიუცია განა მარტო ორი აქტისაგან შესდგება?— არა, იგი მრავალი აქტოვანია, და ვინ იცის როგორ დატრიალდებიან შემდეგი მოქმედებანი. მხოლოდ აწი მაინც არის საჭირო მეტი წინდახედულება, მეტი შორს მჭვრეტელობა, მეტი დაკვირვება იმ პირობათა, რომლებშიაც რევოლიუცია ხდება, და პირდაპირ დაყენება კითხვისა: **რა ენერგიას ხმარობს მთავრობა რევოლიუციის წინააღმდეგ, და როგორი ენერგია გვჭირდება ჩვენ დასამხობად და რევოლიუციის ლოღიკურად ბოლომდის მისაყვანად?** ფრაზების რახა რუხის მაგივრად, სჯობს რევოლიუციონურმა პარტიებმა პირდაპირ გამოარკვიონ ეს ადვილად გამოსარკვევი გამოცანა და შეუდგენ საჭირო ძალის შეკრებას, რომ ამ საშინელი კოშმარისაგან მაინც განთავისუფლდეს რუსეთი, როგორიც არის თვითმპყრობელობა და მისი გახრწნილი დაწესებულებანი. სხვა კითხვათა გადაწყვეტას კი რევოლიუციის შემდეგი განვითარება იკისრებს.

Bâton

## ახალი ამბავი

24 ივლისს, თუმანოვის ქუჩაზე გოროდოვოის ბინაზე, როცა გოროდოვოი სამსახურში ყოფილა, მისულა 16—17 წლის ყმაწვილი კაცი, მიუტანია პარკით ხილი გოროდოვოის ცოლისათვის და უთქვამს, რომ ქმარმა ხილი გამოგიგზავნა და გთხოვა რევოლვერი გაუგზავნოო. ქალს რევოლვერი თავად წაუღია და წასულა. როცა კარებში გასულა, ყმაწვილ კაცს გამოუგლეჯია ქალისათვის ხელიდან რევოლვერი და გაქცეულა.

— თბილისის პოლიცმეისტრის თანაშემწეობის აღმასრულებელს შემდეგი შინაარსის განკარგულება მოუხდენია: ამ ბოლო ხანებში რადგან პოლიციელთა ფორმაში ბოროტ-მოქმედება გავრცელდა, ამისათვის პოლიცმეისტერი პოლიციელთ წინადადებას აძლევს რომ სურათებიანი მოწმობები იქონიონ თავის პიროვნებაზე. სადაც ნაჩვენები უნდა იქნეს იარაღის ნომრებიც. ასეთი მოწმობები უნდა წარუდგინონ მცხოვრებთ გაჩხრეკის დროს, თუ კი ვისმეს ეჭვი ექნება იმათ პიროვნებაზე.

— 26 ივლისს, ქალაქის გამგეობის წევრები, ხმოსნები და ტეხნიკოსები დაათვალიერებენ ახლად გაკეთებულ წყლის საწურებს.

— 24 ივლისს, 5 საათზე ვიღაც უცნობი კაცი მისულა ხოჯაფარუხოვის და მაისურაძის მაღაზიაში და ფედერალისტების სახელით მოუთხოვია 500 მ. როცა მოუთხოვიათ მისთვის საბუთი, მას რაღაც ქაღალდი უჩვენებია, რომელზედაც შემდეგი წარწერის ბეჭედი ყოფილა დასმული: „товарищество орелъ“, ვაჭრებს იქვე შეუტანიათ ფულის მომთხოვნელის პიროვნებაზე და შეუპყრიათ. შეპყრობილს თავის მართლება დაუწყია და უჩვენებია ერთ ყოფილ სტუდენტ ციციანოვზე რომელსაც იგი ფულის სათხოვნათ გაუგზავნია.

— 24 ივლისს, 4—5 საათზე გაჩხრეკეს ჯარმა და პოლიციამ „სიმართლის“ რედაქცია და ახლო მახლო მდებარე სახლები. სახიფათო ვერა აღმოაჩინეს რა, მხოლოთ ერთს სახლში შეიპყრეს სამი კაცი რომელთაგან ერთი ბათუმიდან გამოქცეული სალდათი აღმოჩნდა.

— როგორც ლოზანიდგან „შრომას“ ატყობინებენ იქ გარდაცვლილა სტუდენტი სიმონ ძველაია. განსვენებული ამხანაგებს იქავე დაუსაფლავებიათ.

— როგორც თელავიდან გვწერენ, იქ 22 მკათათვეს მძიმედ დაუჭრიათ სანდრო ლაზრიაშვილი (ქედიანი), დამჭრელნი მიმალულან. მიზეზათ ასახელებენ ლიზარიაშვილის საზოგადოებისათვის მავნებელ მოქმედებას.

— 24 ივლისს, ღამის 2 საათზე ვერსალის სასტუმროში მისულა ვიღაც უცნობი კაცი და დაურეკია

## ფელეტონი

### ზეციერი მთავრობა და მისი კანონმდებლობა.

(გაგრძელება *).

პლატონის აზრით ღმერთი განსაზღვრას არ ექვემდებარება და მაშასადამე ყველა ლოღიკურ დატკიცების ზევით სდგას, მაგრამ პლატონი მაინც ცდილობს გააუმჯობესოს ანაქსაგორის და სოკრატის არგუმენტაცია. პლატონის აზრით „როდესაც ერთი საგანი წარმოშობს ცვლილებას მეორეში, მეორე მესამეში და სხვა ნუ-თუ შესაძლებელია ითქვას, რომ ის შეადგენს ამ საგნებისთვის პირველ მამოძრავებელს? როგორ შეიძლება, რომ ის რაც სხვისით მოძრაობს, იყოს ცვლილების პრინციპი?“ მისი აზრით ეს შეუძლებელია და ნამდვილი მამოძრავებელია მხოლოდ ის რაც თავის თავად მოძრაობს. ამგვარი თავისთავად მოძრავი მისი აზრით სულია, „სუბსტანცია, რომელსაც აქვს თვისება თვით იმოძრაოს“. ამიტომ სული სხეულზე ნაადრევია და მსოფლიო განცხოველებულია სულით რომელიც მაზე ნაადრევია და ამოძრავებს მას. ეს თვით-მამოძრავებელი სული არის ღმერთი არა სავსებით არამედ ნაწილად. ამ თვით მოძრავ მამოძრავებელზე ზევით სდგან უძრავი იდეა.

მეორე მხრით პლატონი ამბობს: „თუ მართალია, რომ ცის და ყველა ციურ მნათობთა მოძრაობა არსებითად მსგავსი არიან გონების მოძრაობის, პროცესების და მსჯელობათა, რომ ორივე შემთხვევაში არსებობს ერთგვარი მოძრაობა, მაშინ აქედგან ის დასკვნა გამოდის, რომ ამ სამყაროს მართავს სული, რომელიც აღვსილია სიკეთით და მან შექმნა ყოველი და ამაგრებს ყოველს“. ამიტომ, პლატონის აზრით სიკეთე, რომელისკენაც მისწრაფვის ყოველი სული, არის კაცობრიობის სურვილის მიზანი. „სიყვარულის ობიექტი არის ღმერთი“.

ღვთაებრივი განგება ეკუთვნის იმას, „ვინც **ზრუნავს** ყველაფერზე, მოაწყო ყველაფერი მთელის შესანახად და სასიკეთოთ; თვითეული ნაწილი ასრულებს მხოლოდ იმას, რაც მას შეეფერება, **ის ფხიზლობს განუწყვეტლად თვითეულ ინდივიდუუმისთვის** და თვით იმის (ინდივიდუუმის) **უმცირეს მოქმედებზედაც** და შეაქვს სისრულე **თვით პაწაწა წვრილმანებში**. ამგვარია პლატონის ღმერთი და მისი გამგეობა.

როგორია არისტოტელის ღმერთი? ისიც ანტროპომორფისტულია.

არისტოტელის აზრით ყოველივე მოძრაობა მომდინარეობს მამოძრავებელისაგან და გადაეცემა მოძრავს, მაგრამ აქედგან ნუ-თუ არ გამოდის, რომ არსებობს პირველი მიზეზი ყოველივე მოძრაობისა.

მისი აზრით არა თუ არსებობს პირველი მიზეზი, არამედ, შეუძლებელია დაუსრულებლობა მიზეზების რიგისა.

პირველი მამოძრავებელი თვით უძრავია და ამგვარი მისი თვისება აიხსნება თვით ჩვენი მოძრაობით, რადგან ჩვენ საუკეთესო ნიმუში ვართ ამგვარი მოძრაობისა: როგორც ველური ადამიანი, ისე არისტოტელიც თავის თავს ადარებს გარეშე მომქმედს, მისთვის ღმერთი ისე მოქმედებს, როგორც კაცი. მასთანვე ყველაფერს თავისი მიზანი აქვს და ყველაფრის ეს მიზანი არის ღმერთი, რომელიც აზრის აზრია, უზენაესი სიკეთე, რომელიც თავის უმოძრაობიდგან გამოუსვლელად იზიდავს ყველაფერს. რადგან ამგვარად ღმერთი თვით უძრავია, მაგრამ თავისი უსაზღვრო მშვენიერებით იზიდავს ყველაფერს, ამიტომ ყველაფერი, ამ უსაზღვროდ სრული სიკეთისკენ მიისწრაფვის და რადგან ღმერთი, როგორც აზრის აზრი სრული სიკეთეა, რომელიც არ შედის არავითარ მოძრაობაში და სდგას მსოფლიოს გარეშე, მიუწვდენელია, ამიტომ ყველაფერი მისკენ მისწრაფებით დაუსრულებელ პროგრესშია. ამგვარი ღმერთი პირველი მიზეზიც არის და სამიზნო მიზეზიც. Causa causalis და causa finalis არისტოტელმა გააერთიანა ღმერთის მცნებაში (?) ადამიანს მიზანი აქვს, ადამიანი მომქმედია ადამიანი ერთია, მაშასადამე მისი მიზანი და მოქმედება ადამიანის გონებაში შეერთებულნი არიან. ამგვარია არისტოტელის მსჯელობაც, ადამიანის მსგავსია მისი ღმერთიც.

ებრაელების ფილოსოფიურ სკოლის ალექსანდრიაში სათავეში უდგა ფილონი, ეს ებრაელების პლატონი; ეს ფილონი უახლოვდებოდა პლატონს ისე, რომ მის დასახასიათებლად ამბობდენ: aut Philo platonizat, out Plato philonizat, ე. ი. ან ფილონი პლატონობს, ან პლატონი ფილონობსო. ფილონის ფილოსოფია ბიბლიის, აღმოსავლეთის მოძღვრებების და საბერძნეთის ფილოსოფიების ნარევია. ის პლოტინის წინამორბედი იყო და ითვლება ეკლესიის მამების მამად. პლოტინი უკვე ლაპარაკობს სამებაზე და ემანაციაზე, იმან შექმნა ქრისტიანიზმი იმით რომ თითქმის ყველაფერი, რაც მიღებულია ქრისტიანულ სარწმუნოებას სიფუძვლად, ფილონის მეტაფიზიკური ტვინის ნაყოფია. ის უკვე ლაპარაკობს სამებაზე, რომელიც შესდგება მამისაგან, სიტყვისაგან და სული წმინდისაგან; ის უკვე მკაფიოდ აღნიშნავს რწმენას, სათნოებას, ცხოვრებას, კათოლიკურ ერთობას, ეკლესიის და პაპის უზენაესობას, ერთი სიტყვით მან შეიმუშავა ქრისტიანიზმის შენობის გეგმა, რომელზედაც შემ-

*) იხილე «მუშა» № 38.

...ზარის ხმაზე გამოსულა სას...ის პატრონი მ. მირიმანოვი, ...სათვისაც უცნობს რევო...უსრულია. მირიმანოვს ასცდა. ...ლელი მიიმალა.

## წერილი ქუთაისიდან.

...ქუთაისში გამოვიდა ყოველ...ური გაზეთი „შიკრიკი“ ბ-ნ ...ძის რედაქტორობით. გაზეთს ...ორც ეტყობა თავის მოწინავე ...ლში, სოც.-დემოკრატიულ ...რთულებისაა. ჩვენ მ. ლოლაძის ...ები ვუსურვებთ გაზეთს, რომ ...ვომოდეს ნამდვილ სიმართლის ...ს და ცალ-მხრივობა არ გამოე-...ოს, გულ-წრფელად დაიცვას ყო-...ოვე სიმართლე, დაეცმოს და ...ტაკი ბრძოლა გაეწიოს ყოველი-...უსამართლოებისათვის და ძალ-...მრეობისათვის. აგრეთვეს ვუსურ-...ბთ არ წაიბაძოს თავის ამხანაგ ...ომპრისათვის“, რომელიც დი-...ხანი ვაჭრობდა ბირჟაზედ და ...ლდა ლანძღვა-გინებას! მაგრამ ...ც იმას შერჩა თავის ბრწყინვალე ...ო, რადგანაც განმავალი ხანებია, ...ღაიცვალა, განუტევა თავისი ...დრუკი სული ბიუროკრატიის ...ხებით. ცხონებულს ეგონა, რა-...თითით დავუწყებ ჩვენებას ჩემს ...წინააღმდეგეებზე და პროვოკაციის ...ჭევ, ამისათვის დამაჯილდოვებე-... მაგრამ მოსტყუვდა. ჯერ კიდევ ცხოვრებაში გამოუცდელმა და გა-მოუსვლელმა ახალგაზრდამ ალბათ არ იცოდა ბიუროკრატიის ხრიკე-ბი! ეჰ, რა გაეწყობა! ამისთანა მარცხი ბევრი მოსვლიათ და ბევ-რიც მოუვათ ჩვენს სოც.-დემოკრა-ტებს!

ჩვენ მუშებს ძრიელ გვაღელვებს და გვაკვირვებს მოსწავლე ახალ-გაზრდობის პროტესტი გაზეთ „მუ-შისადმი“; ნუ-თუ თქვენ, მომავა-ლო სოციალისტებო, შემდეგშიაც ასე შეგნებულათ უნდა იმოქმედოთ!? ნუ თუ თქვენ უნდა გახდეთ ჩვენი ინტერესების დამცველი და ჩაგვყა-როთ ბურჟუაზიულ პარტიების ხე-ლში, რომ უფრო შეგნებულათ გვწოვონ სისხლი!? არა, და არა! შე-გნებული მუშები თქვენ მოქმედე-ბას დაგმობს; ჩვენ საერთო არაფე-რი გვაქვს ბურჟუაზიულ ინტელი-გენციასთან! რას მოასწავებს თქვე-ნი ამგვარი მოქმედება? ნუ-თუ თქვენ ფიქრობთ, რომ მომავალი ისტორია დაფნის გვირგვინით შე-გამკობთ ამნაირ ფანატიკურ მო-ქმედებისათვის?! გიცანით როგორი დამცველები ბრძანებულხართ მუ-შების. სიბრალულს ვუცხადებთ და მასთან მხურვალეთ ვეცდებით გან-ვათავისუფლოთ ჩვენი ამხანაგები, რომელნიც თქვენ ბრმა იარაღათ გაგიხდიათ! ეხლა-კი ვცნობთ და ვგრძნობთ: „მონარქია“ რომ დაინ-გრევა თქვენ დაიჭერთ მის ადგილს დეპუტატებათ, მინისტრებათ, გუ-ბერნატორებად და სხვებათ. შემ-დეგ ტკბილის ენით გაგვიწევთ აგი-ტაციას, რომ პარლამენტის საშვა-ლებით გვინდა მოგიპოვოთ სამოთ-ხეო! იმასაც ვხედავთ, რომ თქვენ ასი წლის პარლამენტებით რა მოუ-პოვეთ ჩვენს ამხანაგებს, არაფერი დაპირების მეტი. თქვენ იმ პარლა-მენტს შესტრფით და გამოელით შვება-ლხენას, რომლის წყალობით ათი და ასი ათასი მუშა ნაგვის „სარტიროვკით“ სცხოვრობს, რომ ათ სობით სიმშილით იხოცება, ათა-სობით სიცივით იყინება ევროპის დიდ ქალაქების ქუჩებში. მათი ბუ-რჟუა-ლიბერალები კი ამ დროს პარლამენში მუხლი მუხლზე შემოდ-გმული რამოდენიმე ათასს ღე-ბულობენ მუშების ნაოფლარს. მაშ ეგრე, ჩვენო მომავალო ბურჟუა-ინტელიგენტებო! ჩვენი ხელით გლიჯეთ ნარ-ეკალი და თქვენ კი ინეტარეთ! მაშ, თქვენი რჩევით გამოვუცვალოთ გაზეთ „მუშას“ სახელი?! ამას ხომ მხეცი ალიხანო-ვები და ბაუერებიც არ თხოულო-ბდენ! მაშ გავაძევოთ ანარქისტ-კომმუნისტები?! გავაძევოთ სოცია-ლისტ-რევოლიუციონერები?! ამას თხოულობს მხოლოდ დახავსებული ბიუროკრატია ბურჟუაზიასთან ერ-თად. მაშ, ჩაუვარდეთ ხელში უფ-რო გამოცდილ ექსპლოატატორებს და ნელ-ნელა გვწოვონ სისხლი?! ვაშა თქვენს განვითარებულ აზრებს?

ვაშა თქვენისთანა უკიდურესს სოციალისტებს!

შორს ჩვენგან, ბურჟუა-ინტელი-გენტები!

ზიზღი სახელმწიფო წეს-წყობი-ლებას!

ზიზღი ბურჟუა-კაპიტალისტებს!

გაუმარჯოს შეერთებულ თავის-უფალ მუშის ძალას!

არავის ბატონობა და პატრონო-ბა ჩვენ არ გვესაჭიროება! ადამიანი სიკვდილამდე თავისუფალი უნდა იყოს. მუშის განთავისუფლება თვით მუშის საქმეა და არა ბურჟუა-ინტელიგენტების!

ლოლაძის ქარხნის მუშების მინდობილო-ბით ხელს ვაწერ მუშა სან—რაე.

# რ უ ს ე თ ი

—

როგორც ხმები დადის, სამსახუ-რიდგან გამოდიან მინისტრები იუს-ტიციისა შჩეგლოვიტოვი და სა-ერო განათლებისა კაუფმანი. (რავენსტვო)

—

სახელმწიფო სათათბიროს შენა-ხვა 73 დღეში დაჯდა 400, 000 მ. 100, 000 მანეთამდე გზის ფულად მისცეს ყოფილ წევრებს სახელმწიფო სათათბიროსას და 200, 000 მანეთი დღიურ-ფულად. გუშინდელ დღემ-დის მიიღეს სამგზავრო და დღიური ფული 413 წევრმა. (რავენსტვო)

—

...მ ქრისტიანიზმი აშენდა თითქმის ...წლით ადრე, მანამ სანამ, ჯერ ...ტყვა ქრისტიანი, და ქრისტიანუ-...ი სხენებულიც კი არ იყვნენ. ...ლონი ხედავს, რომ ნამდვილი ...მერთის სარწმუნოება *) „მიიზი-...ეს რა თავისთან ყველაფერს იმას, ...ც წმიდაა სხვა რწმენათა შორის,“ **...ეერთებს ყველა ხალხებს ერთ და ...ავე საკურთხევლის წინაშე**, ...მ დღეს, როდესაც **მსოფიო ...ვდელ-მთავარი** (pontife univer-...l, ილოცავს მთელი კაცობრიუ-...ი მოდგმის სასარგებლოდ, მაშინ ...ოდესაც თვითეული მღვდელი ...უკულობს თავის უბნის სა-...რგებლოდ, და იქმნება (მსოფლიო ...ვდ. მთავ.) შემქნელის წინაშე ...ელ მოყრილი ორგანო გაჩენისა: **...ენქცია წმინდა, რომელიც დაა-...ენებს ყველა მეფეებზე ზევით** ...ეს, რომელიც მოწოდებული ...მნება მის შესასრულებლად.“ ბო-...ის ფილონის კოსმოპოლიტიზმი ...მდის მიდის, რომ შეჰყვირებს: ...ვენ ყოველგან ვართ, და ყოველ-...ნ ბერძენნო და ბარბაროსნო, ...მოსავლეთისანნო და დასავლეთი-...ნო მოიქეცით ჩვენად. ჩვე-...ი მრთელი დედა მიწა!“ ფარი-...ლები მართალი იყვნენ, რო-...აც ამბობდენ, რომ ქრისტიანულ სარწმუნოება ნეოპლატონიკების და დისიდინტ (გამდგარ) ურიების ნა-წარმოებიაო.

ამგვარად ქრისტიანული სარწმუ-ნოება თავისი ერთი ღმერთით არის რთული მოვლენა წარმომდგარი ებრაელების საზოგადოებრივი და გონებრავი მდგომარეობისაგან და საბერძნეთის ფილოსოფიისაგან; ყვე-ლა ამას ზედ დაერთო ებრაელების საზოგადოებრივი ჩავვრის კონცე-ტრაცია, რომაელების ბატონობის ქვეშ; ებრაელების საზოგადოებრივი მა დაჩაგრულობამ იპოვა თავის გამო-თქმა სარწმუნოებრივ და სარწმუ-ნოების ობიექტების კონცენტრა-ციაში—მსოფლიო სარწმუნოებაში და ერთ ყოვლად შემძლე მოწყალე და დაუბოლოვებელ ღმერთში.

ქრისტიანიზმი უწინარესად არის პროტესტი აუტანელი სოციალური მდგომარეობის წინაალმდეგ, ხოლო ყოვლად უვიცი პროტესტი ისე, როგორც ყოვლად რადიკალური; რასაკვირველია ის ამგვარი პრო-ტესტი მანამდეა სანამ მონათა სარ-წმუნოებას შეადგენს. ის თავისი უვიცობით პროტესტია არა რომე-ლიმე მეცნიერების წინაალმდეგ, არა რომელიმე საზოგადოების, არა რო-მელიმე ფილოსოფიის წინაღმდეგ, არამედ ის ღარიბ-ღატაკთა, დაჩაგ-რულთა სახელით პროტესტია ყოველ მეცნიერების, ყოველივე საზოგა-დოების, ყოველივე ფილოსოფიის, ყოველივე ზნეობის, ყოველივე ხალ-ხოსნობის, ეროვნების წინაალმდეგ, როგორც დღეს მაგალითათ სოც.-დემოკრატია თავისი დიალექტიკური წაჯიქ-უკუჯიქობით წინაალმდეგია ყოველივე მეცნიერების გარდა თა-ვის უვიცობისა, თავისი სახელმწი-ფოებრივი პრინციპით წინაალმდეგია ყოველი საზოგადოებრივობისა, თა-ვისი უკიდურესი დოგმატიზმით წი-ნაალმდეგია ყოველი ფილოსოფიისა გარდა თავისი ანტიფილოსოფიური ფილოსოფიისა, წინაალმდეგია ყოვე-ლივე ზნეობისა თავისი უტილისტა-რისტული თეორიით, ყოველივე ერ-ოვნებისა თავისი კოსმოპოლიტიზმით და არა ინტერნაციონალიზმით (კოს-მოპოლიტ. სახელმწიფოებრივია და ინტერნაც. კი ანტი-სახელმწიფო-ებრ.)

რომის გამარჯვებულმა რესპუ-ბლიკამ უანდერძა რომის იმპერიას სხვა სიკეთესთან ერთად დაძლეულ და დაპყრობილ ხალხების ღმერთე-ბიც, რის გამო რომის მძლავრი იმპერია წარმოადგენდა სარწმუნო-ებათა ხაოსს, რომელისგან შემდეგ წარმოსდგა კონცენტრაციის საშ-ვალებით ერთი ქრისტიანული ღმერ-თი და ერთი მსოფლიო ქრისტია-ნული ეკლესია. რომის იმპერიის ტერიტორიალურმა კონცერტაციამ გამოიწვია ჯერ სარწმუნოებრივი ხაოსი და შემდეგ ამ ხაოსის კონ-ცენტრაცია. ყველა ათას-გვარი სარწმუნოებები და ღმერთები აირიენ ერთმანეთში რომის მძლავარი ხე-ლის წყალობით; სხვა და სხვა ხალ-ხები, რომლებიც დამოკიდებული ცხოვრებით ცხოვრობდნენ, შეერთე-ბულ იქმნენ რომის სკიპტრის ქვეშ, გათანსწორებულნი იყვნენ საერთო მონობაში **ერთი** იმპერატორის უფ-ლების ქვეშ. უწინ, როდესაც თვი-თეული ხალხი დამოკიდებულად სცოვრობდა, **ხალხოსნობა და სარწმუნოებაც ერთი მეორეს შეე-ფერებოდნენ** (религія и народность совпадали). შემდეგ, რო-დესაც მეზობელ ხალხების დაშლის და გახრწნისაგან წარმოიშვა რომა-ელ ნაციის ზრდა და კონცენტრაცია, **მოხდა აგრეთვე ნაციონალურ სარ-წმუნოებათა დაშლა, გახრწნა** და საერთო სარწმუნოების კონცენტრა-ცია. მეფეები თან და თან ჰქრებო-დნენ, პატარა, კერძო დინასტიები დაპყრობილ ქვეყნებისა ითქებოდ-ნენ რომის გაუმაძღარ სახელმწიფოს მუცელში; მათი მრავალი ტახტე-ბიდგან წარმოიშვა რომის მსოფლიო ტახტი, მათი მეფური უფლებიდ-გან, რომის იმპერატორის უფლება და რადგან რელიგიოზურ და პო-ლიტიკურ მდგომარეობის და იდე-ების შორის მუდამ არსებობს კავ-შირი, ამიტომ მრავალ ღმერთიანო-ბა ცხადია უნდა შეცვლილიყო ერთ-ღმერთიანობათ.

ალი,

*) Audré Lefevre. Les prilo...phies.

პოლიციის დეპარტამენტმა გაგზავნა აგენტები ფარულ პოლიციისა ფინლიანდიის რკინის გზებზედ, რომელთაც უნდა თვალ-ყური ადევნონ დეპუტატებს. ვითომც ისინი მართავდენ ყოველდღე თათბირს. (რაევენსტვო).

—

თოფის სამზად სახელოსნოებში ამზადებენ დიდძალ ტყვიის მტყორცნელებს, რომელიც უნდა 1 სექტემბრისათვის იყოს მზათ. როგორც „რაევენსტვო“-ს შეუტყვია ტყვიის მტყორცნელ როტებსაც მიუმატებენ.

—

სალამოს გაზეთ „ნოვაია მისლ“-ს სიმბირსკიდან დეპეშით ატყობინებენ. რომ ალატირის მაზრაში დაიწყო აგარული მოძრაობა. აიკლეს ბუტურლინის მამული. მაზრაში გაგზავნილია ჯარი.

—

„XX ვეკ“-ს დეპეშით ატყობინებენ კაზანიდგან, რომ საერობო უფროსების ბრძანებით გლეხები ირჩევენ დეპუტაციას პეტერგოფში გასაგზავნად. რათა მადლობა გადაუხადონ, რომ სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს. ყაზანის მაზრის ზოგიერთ სოფლის გლეხები უკმაყოფილონი საერობო უფროსების ბრძანებისა, გადაწყვიტეს გაგზავნონ მეორე დეპუტაცია თხოვნით, რომ სახელმწიფო სათათბიროს დაუბრუნონ წინანდელი უფლებები.

—

პეტერბურგში მიღებულ ცნობებით, დეპუტატი გერცენშტეინი მოუკლავს რკინი გზის რუს ჟანდარმს ნეშეიკინს. ის დაპატიმრებულია ადგილობრივ ლენდსგანის მიერ.

(სვაბოდ. ჟიზ.)

---

# კორესპონდენცია

—

**სიღნაღი.** (ნუკრიანი) 15 ივლისს, ღამე 12 საათზე, ვანო ჩალათაშვილი მისულა თავის სახლში და ცოლისთვის დაუწყვია შეუბრალებლათ ცემა; ქალის წივილზე მიშველებიან მეზობელნი და ხელიდან გამოუტაცნიათ ქალი და მასთან ხანჯალიც; შემდეგ ჩალათაშვილს ამოუღია დანა და დაუკრავს რამდენჯერმე ნიკოლა ხმალაძისთვის, სოსიკო ნინიევისთვის, ნიკოლა ხმალაძე მძიმედაა დაჭრილი, ნინიევი მოხუცი 65 წლისა ღამის სამს საათზე გარდაიცვალა; იქვე ახლოს საბძელში უნახამთ წაქცეული ქალი თალიკო ჩალათაშვილისა, რომელსაც თავისივე მოსახვევით თავის დარჩობა სდომებია მაგრამ კიშველებიან და ცოცხალ-მკვდარი მოუბრუნებიათ; მაგრამ სამგან აღმოაჩნდა ხანჯლით ჭრილობა. როგორც გამოძიებამ აღმოაჩინა, ვ. ჩალათაშვილს უთქვამს,—ჩემ ცოლზე მოვატანე ნიკოლა ხმალაძეს და იძულებული ვიყავი მომეკლაო. ჩალათაშვილი დაატუსაღეს.

ცნობილი ჯაშუში ანაგის მამასახლისი პეტრე დარიაშვილი დათხოვნილ იქმნა თავის თანამდებობიდგან.

—

**ს. გურჯაანი,** (კახეთი). არ იქნა ფეხი ვერ მოიკიდა ჩვენ მაყრუებულ გურჯაანში განმათავისუფლებელმა მოძრაობამ, თუმცა პროპაგანდისტები თითქმის ყოველ კვირეულად მოდიან. რა არის მიზეზი? იგი სამ გვარია: 1) ის, რომ გურჯაანში 900 კომლიდან 200 ღარიბია, დანარჩენი ცოტათ თუ ბევრად შეძლებულია, მათ შორის ბევრია ისეთიც, რომელნიც წელიწადში 1,500 მან. ღვინოსა ჰყიდიან. აბა ესენი რას მოინდომებენ კარგს დაჩაგრულ გლეხებისთვის. 2) პროპაგანდისტებს ხშირად მოუმზადებლებს გზავნიან, არა გაეგებათ რა გლეხთა პროგრამისა და პარტიულ ფანატიკოსობით არიან გატაცებულნი. 3) ქურდობაა, რომელიც ხელს უცარავს განმათავისუფლებელ მოძრაობას; ის ამ ორი-სამი თვის წინად ძალიან გავრცელებული იყო და ეხლა ცოტა მისწყდა მხოლოდ იმ მიზეზით, რომ აღარაფერია მოსაპარი. გურჯაანისთანა განთქმული ადმინისტრაცია მგონი არსად არის. დასახასიათებლად მოვიყვან შემდეგ მაგალითს: ნოემბერში წარსულ 1905 წ. ერთმა ადმინისტრაციაში გავლენიანმა პირმა—თავადმა, გლეხებ სხვათა შორის შემდეგი უთხრა: "ყველა-ყველამ და კლასობრივ გათანასწორებას რათა თხოულობთო." აქაური ერთი სულიერ მამათაგანი გაფაციცებით ეძებს იმას, ვინც მაზედ გაზეთებში სწერს, მაგრამ ვერას გამხდარა; თუმც წარსულ ნოემბერში ხალხს ფიცი მისცა, რომ არას გამოართმევდა, მაგრამ ეხლა თიბათვები გუბერნატორი როდესაც მოვიდა, ხალხს უჩივლა არას მაძლევენო და ადმინისტრაცია დამეხმაროს „დრამის“ აკრება, შიო, და როდესაც ხალხი აღელდება და მათ პაწია ბიუროკრატებს წალეკას დაემუქრება, ეს სულიერი მამა თავს მოიხრის უსინიდისოდ დიდებულ ხალხის წინაშე და პატიებას სთხოვს იმ ხალხს, რომელსაც ეხლა სძარცვამს.

„კიტა გურჯაანელი“.

---

## წერილი რედაქციის მიმართ.

—

ბატონო რედაქტორო!

რადგან გაზეთი „სიმართლე“ დაიკეტა, ამიტომ გთხოვთ თქვენ მიერ გამოცემულ გაზეთის „მუშის“ მახლობელ ნომერში დაბეჭდოთ შემდეგი ჩემი წერილი.

ბატონ ხანდამიშვილს (მიმინო)

ნათქვამია: „ყბედი რამ მოღალა, და მუნჯმაო“. სწორედ ყოველ პასუხში და თქვენს წერილებში იხ. „ლამპრის“ № 30 და „სიმართლის“ № 6-ში, ბ. სანდამიშვილი ლაპარაკობდა რაღაც აბდა-უბდებზედ. თქვენ მიერ დასახელებული საბუთები საჭიროა თავის მხრივ დამტკიცება. სიმართლის გამოსარკვევლად მე საჭიროდ ვცნობ დაინიშნოს სამედიატორო სამართალი, დეე, ყველა ჩემგან გაუბედურებულნი იყვნენ ჩემი ბრალმდებელნი, ამიტომ გიწვევთ რა თქვენ სამართალში დაასახელეთ თქვენის მხრივ წევრები. ჩემის მხრივ ვასახელებ წევრებად (ქრისტე) და № №. (იმათ თხოვნით გვარს არ ვაცხადებ).

დუშეთის ეკლესიის მღვდელი

დიმიტრი მეტრეველი.

---

# დეპეშები

(რუსეთის სადეპეშო სააგენ.).

—

**პეტერბურგი.** გრადონაჩალნიკმა დახურა ბეჭდვითი საქმის კავშირი.

— დღეს გამოვიდა მხოლოდ „ნოვოე ვრემია“ და „პეტერბურგსკაია გაზეტა“.

**ხარკოვი.** ოსნოვში ბრბომ მოჰკლა 2 მძარცველი და ერთი ცოცხალ-მკვდარი ჩააგდეს წყალში, რომელიც დაიხრჩო.

**სოფია.** მრავალ-რიცხოვან მიტინგზე, მიიღეს შემდეგი რეზოლიუცია: ითხოვენ რომ მთავრობამ დამოკიდებულება მოსპოს საბერძნეთთან, დაითხოვოს სამსახურიდან ბერძნები სახელმწიფო დაწესებულებიდან და ჯარიდგან, განდევნოს ბერძნების მასწავლებელნი და ეპისკოპოსნი, და აუხსნას დიდ სახელმწიფოებს რომ ბერძნების ვერაგობა მოთმინების საზღვარ გადასცილდა და ბოლგარიის ხალხი პასუხს არ აგებს რაიმე უბედურებაზე. ორატორმა წინადადება მისცა ხალხს ბოიკოტი გამოუცხადოს ბერძნების საქონელს. საბერძნეთის კონსულის სადგომთან მოხდა შეტაკება ხალხს და ჯარს შორის. სამი მანიფესტანტი დასჭრეს ხმლით. ერთი ჟანდარმი ქვითა. თანამგრძნობ მანიფესტაციის შემდეგ რომელიც მოახდინეს რუსეთის, ინგლისის, საფრანგეთის და რუმინის სადგომის წინ, ბრბო მშვიდობიანად დაიშალა. ეხლა ქალაქში სიწყნარეა. სტამენაკში მომხდარი ანტი-ბერძნული მიტინგი, გათავდა არეულობით. რამდენიმე კაცი დაჭრილია. ბოლგარელებმა დაიჭირეს 2 ეკლესია და სკოლა და დაასქციეს რამდენიმე მაღაზია.

**ვარშავა.** რაშელში უცნობმა პირებმა მძიმედ დასჭრეს საერობო დარაჯი და საგმინო მწერალი.

**სევასტოპოლი.** შეიარაღებულნი ხანჯლებით შეიჭრენ სამხედრო-საზღვაო კანცელარიაში, გაიტაცეს საქმეები ნოემბრის არეულობის შესახებ და მიიმალნენ.

**ნოვო-ჩერკასკი.** სადგურ კამენსკაიაზე უცნობნი პირნი, ჟანდარმის ფორმაში გადაცმულნი, მივიდნენ მღვდელ ნიკოლაევთან, ვითომ გასაჩხრეკად, გაიტაცეს ათასი მანეთი. საათი და მიიმალნენ.

**მელიტაპოლი** რევოლიუციონური გზით ლიბერმანის სტამბაში დაბეჭდეს 6000 ცალი ვიბორგის მოწოდება.

---

რედაქტორ გამომცემელი

**მიხეილ დიასამიძე.**

---

# განცხადებანი.

---

## ადრესის გამოცვლა

ჩვენი აგენტებისა, მკითხველებისა და ხელის მომწერთა საყურადღებოთ. ამ დღიდან ადმინისტრაცია „ნობათისა“ გადადის გაზეთ „მუშის“ ადმინისტრაციის ხელში. ამისათვის ყოველგვარი წერილები და ფული იქვე უნდა იქნას მიმართული. ჩვენ აგენტებსა ვსთხოვთ ანგერიშიც „მუშის“ ადმინისტრაციას გაუწიოს. ყოველ წერილზე და აგრეთვე ფულიან კონვერტებზე, თუ თუ ფულის გამოგზავნის უწყებებზე მკაფიოდ უნდა იქმნას აღნიშნული: „ნობათისათვის“

**„მუშის“ რედაქციის, რომელიც ამიერიდან „ნობათის“ ადრესიცაა.**

---

ჩვენ მზად ვართ დავუთმოთ ჩვენი გაზეთის პატარა კალონები **მუშის**, მწარმოებლის მიერ გამოცხადებულ პროტესტს მჩაგვრელთა წინაალმდეგ და ამით ხელი შევუწყოთ მუშების დიად ბრძოლას სახელმწიფოსა და კაპიტალის წინაალმდეგ.

---

**ვთხოვთ ჩვენ აგენტებს პროვინციებში ფულიყოველ შაბათობით გვიგზავნონ თუ სურთ, რომ შემდეგისთვისაც მიიღონ გაზეთი.**

ელექტრონის სტამბა „გუტენბერგის“, სასახლის ქუჩა, სახლი ქარ. თავ.-აზნაურობისა.